



**შპს თბილისის დავით აღმაშენებლის
სასწავლო უნივერსიტეტი**

„დამტკიცებულია“
აკადემიურ საბჭოს სხდომაზე
რექტორი ანზორ შარაშენიძე

**სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის
დებულება**

2019 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახური წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. სასწავლო უნივერსიტეტის სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის მიზნები და ამოცანებია:
 - 2.1. სასწავლო უნივერსიტეტის უწყვეტი განვითარების ორგანიზება და ხელშეწყობა;
 - 2.2. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფა;
 - 2.3. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის დასაქმებასთან დაკავშირებული სერვისის ხელშეწყობა და განვითარება;
3. სასწავლო უნივერსიტეტის სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, სასწავლო უნივერსიტეტის დებულებითა და წინამდებარე დებულებით;
4. სასწავლო უნივერსიტეტის სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის წინაშე და ასრულებს მის მიერ ამ დებულებითა და კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. სასწავლო უნივერსიტეტის სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის საქმიანობის სფერო და ფუნქციები

- 2.1. სასწავლო უნივერსიტეტის სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის ძირითადი ფუნქციები და კომპეტენციაა:
 - ა) სასწავლო-სამეცნიერო პროცესების, დაგეგმილი ან განხორციელებული ღონისძიებების საჭაროობისა და საჭარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
 - ბ) სასწავლო უნივერსიტეტში კულტურისა და სპორტის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინირების უზრუნველყოფა.
 - გ) სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის დასაქმებასთან დაკავშირებული სერვისის ხელშეწყობა და განვითარება;
 - დ) სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით თანამშრომლობა კერძო და სახელმწიფო სექტორთან;
 - ე) სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობა;
 - ვ) სტუდენტთა, სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფებთან ურთიერთობა, სტუდენტური პროექტებისა და ინიციატივების ხელშეწყობა;

8) დადგენილი წესით კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლოს სასწავლო უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და განახორციელოს სხვა უფლება-მოვალეობები.

მუხლი 3. სასწავლო უნივერსიტეტის სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის მართვა და პერსონალი

1. სასწავლო უნივერსიტეტის სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის საქმიანობას ხელმძღვანელობს სამსახურის მენეჯერი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.
2. სასწავლო უნივერსიტეტის სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის მენეჯერი უშუალოდ უწევს კოორდინაციას ამ დებულებით განსაზღვრული მიზნების, ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებას.
3. სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის შემადგენლობასა და სტრუქტურას საშტატო განრიგით განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.
4. სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის შემადგენლობაში შედის სამსახურის მენეჯერი, სამსახურის საქმიანობის მოცულობიდან გამომდინარე, სამსახურის შემადგენლობაში შესაძლებელია შევიდეს სპეციალისტი/სპეციალისტები, კოორდინატორი;
5. სასწავლო უნივერსიტეტის სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის პერსონალის შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებითი აქტით/შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 4. სასწავლო უნივერსიტეტის სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის წესი

წინამდებარე დებულებაში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხორციელდება დადგენილი წესით.

მუხლი 5. სასწავლო უნივერსიტეტის სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სასწავლო უნივერსიტეტის სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის რეორგანიზაცია და/ან ლიკვიდაცია ხორციელდება დადგენილი წესით.